

მესხების რეპატრაციის პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალური დაბრკოლებები

შესავალი

მალე სამოცდაჩვიდმეტი წელი შესრულდება მას შემდეგ რაც, სამხრეთ საქართველოდან გადასახლებული მოსახლეობა ელის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებას. მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის დროს, საბჭოთა ხელისუფლების უნდობლობის გამო გადასახლებული¹ მესხების, ქურთების, ჰემშინების (მუსლიმი სომხები) შთამომავლები გაფანტული არიან მსოფლიოს არა ერთ ქვეყანასა და კონტინენტზე: შუა აზიაში, კავკასიაში, რუსეთში, უკრაინაში, თურქეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი. ამ ადამიანების კრიტიკულად მცირე რაოდენობამ მოახერხა ამ ათწლეულების განმავლობაში საქართველოში დაბრუნება. დაბრუნების პროცესში მათ უწევდათ გეოგრაფიული დაბრკოლებების გარდა ეკონომიკური სირთულეების და საქართველოს ხელისუფლების არაკეთილგანწყობის გადალახვაც. რეპატრიანტი მესხების ბედი საუკუნეების განმავლობაში არა ერთხელ შეცვლილა რადიკალურად პოლიტიკური გარემოებების გათვალისწინებით და ეს ცვლილებები როგორც წესი მათთვის ხელსაყრელი არ იყო.

წინამდებარე ტექსტი მიმოიხილავს საქართველოში რეპატრიანტი მესხების დაბრუნების პროცესის თანმდევ დაბრკოლებებს. გაანალიზებულია ამ პროცესის სხვადასხვა ეტაპები, დაბრუნების პროცესის ძირითადი შემაფერხებელი გარემოებები და საქართველოს ხელისუფლების მიდგომები რეპატრაციის პროცესის მიმართ. თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური დღის წესრიგიდან მესხების დაბრუნების საკითხი გამჭრალა, რასაც თავისი ობიექტური მიზეზებიც აქვს. შესაძლოა ეს ტექსტი გახდეს ერთ-ერთი საფუძველი იმისა, რომ განახლდეს მსჯელობა უსამართლოდ გადასახლებული ადამიანების მიმართ მისაღები გადაწყვეტილების შესახებ.

¹ 1944 წლის 31 ივლისის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის № 6279cc დადგენილების თანახმად, ცენტრალური აზიის ქვეყნებში გადასახლებას დაექვემდებარა სამხრეთ საქართველოს 200 სოფლის მაცხოვრებელი, 86,000 ადამიანი და ასევე 41,000 სამხედრო, რომელიც მეორე მსოფლიო ომში წინა ხაზზე იბრძოდა. გადასახლებულების მიმართ ბრალდება ასე ჟღერდა: „მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებსაც მოსაზღვრე თურქეთის რაიონების მოსახლეებთან ნათესაობა აკავშირებდათ, დაკავებული იყვნენ კონტრაბანდით, ავლენდნენ ემიგრაციულ განწყობებს და თურქეთის სადაზვერვო ორგანოებისათვის წარმოადგენდნენ ჯამუშურ ელემენტებად გადმობირებისა და ბანდიტური შენაერთების ფორმირების წყაროს.“ 1944 წლის ოფიციალური დოკუმენტები მესხეთში მცხოვრები მუსლიმების (ე.წ. „თურქი მესხების“ და სხვა ეროვნებების) გადასახლების თაობაზე. ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/public/upload/Blog/official_documents_of_1944_on_the_deportation_of_ethnic_minorities_living_in_southern_georgia.pdf გადასახლებულ ადამიანებს ოფიციალურად სამშობლოში დაბრუნების უფლება მხოლოდ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ 1992 წელს მიიღეს.

1. მესხების ვინაობის ცვლილება ისტორიული პროცესების კვალდაკვალ

რეპატრაციის პროცესზე მსჯელობას მუდმივად თან ახლავს მესხების იდენტობის შესახებ მანიპულაციური ინფორმაციების გავრცელება, რის გამოც მათი საფრთხედ მონიშვნა ხდება.² მესხები უკვე ათწლეულებია ცდილობენ დაარწმუნონ ქართული საზოგადოება, მათ შორის ეროვნული მოძრაობის ლიდერების ავტორიტეტის მოშველიებითაც,³ რომ მათი დაბრუნება არ არის საქართველოსთვის სახიფათო და დამაზიანებელი.

მესხების ეთნიკური კუთვნილების საკითხზე ინტერპრეტაციებს ისტორიკოსების კამათი და განსხვავებული თეორიებიც ამძაფრებს. მკვიდრი მოსახლეობის ეთნიკური მიკუთვნებულობის შესახებ სხვადასხვა ვერსიები არსებობს. ქართველი ისტორიკოსების მოსაზრებით, მესხეთის მაცხოვრებლები უძველესი ქართული ტომის - მესხების შთამომავლები არიან, რომლებმაც სარწმუნოება შეიცვალეს ოსმალეთის იმპერიის ძალდატანებითი ისლამიზაციის შედეგად; თურქ ისტორიკოსებს შორის არის მოსაზრება, რომ მესხეთის ტერიტორიაზე ადრეული შუა საუკუნეებიდანვე ცხოვრობდნენ თურქული ტომის ხალხები.⁴ ისტორიკოსების კამათის თუ პოლიტიკოსების სპეკულაციის მიღმა, აშკარაა, რომ მესხეთში მცხოვრები მოსახლეობის რელიგია და ენობრივი კუთვნილება არა ერთხელ შეიცვალა და ადგილობრივ მოსახლეობას უწევდა ცხოვრება მის გარშემო მიმდინარე ცივილიზაციური ცვლილებების შესაბამისად.⁵ ამ მხრივ ვითარებას ართულებდა ისიც, რომ სხვადასხვა მმართველობის პირობებში მოსახლეობის აღწერის დროს მნიშვნელობა ენიჭებოდა სხვადასხვა ნიშანს - ზოგჯერ რელიგიას, ზოგჯერ კი ეთნიკურ ან ენობრივ კუთვნილებას.⁶ ასეთი ცვლილებები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა, რიგ შემთხვევებში დამაბნეველია თავად მესხებისთვისაც: „ვინ ვართ სინამდვილეში? ჩვენ ხომ, როგორც თურქები ისე გაგვასახლეს. შემდეგშიც, აღწერების დროს, ასევე თურქებად გვწერდნენ. ჩვენ მაჰმადიანები ვართ, ვლასპარაკობთ თურქულად, არ გვაქვს

² მარგველაშვილი სალომე; დეზინფორმაცია: მუსლიმი მესხები ჯიჰადს გვიცხადებენ, თურქეთი კი სამცხე-ჯავახეთის მიტაცებას ცდილობს. 2021წ. ხელმისაწვდომია: <https://factcheck.ge/ka/story/38950%E1%83%93%E1%83%94%E1%83%96%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%AF%E1%83%98%E1%83%B0%E1%83%90%E1%83%93%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9C-%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%94-%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%AA%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A1>

³ ტორჩინავა სოფიო, ლადიძე ირმა, "თურქი-მესხები" თუ "ქართველი მესხები"? 2012წ. ხელმისაწვდომია: http://www.damoukidebloba.ge/c/news/meskhethian_turks

⁴ Swerdlow Steve, Understanding Post-Soviet Ethnic Discrimination and the Effective Use of U.S. Refugee Resettlement: The Case of the Meskhetian Turks of Krasnodar Krai. 2006. ხელმისაწვდომია: <https://www.jstor.org/stable/20439082>

⁵ Trier Tom, Tarkhan-Mouravi George, Kilimnik Forrest, Meskhetians Homeward Bound. 2011 ხელმისაწვდომია: https://www.academia.edu/1775514/Meskhetians_Homeward_Bound._ECMI_2011

⁶ wimbush s. Enders, wixman ronald, The Meskhetian Turks: A New Voice in Soviet Central Asia. 1975. ხელმისაწვდომია: <https://www.jstor.org/stable/40866873>

ქართული გვარები. ახლა კი გავიგე, რომ ქართველებად გვთლიან.. ესე იგი ჩვენ მართლა ქართველები ვართ? - მეკითხებოდა დაბნეული მაფიზი, თან ჩაჰკირკიტებდა წინაპართა სახელებს და ძლივს იკავებდა ცრემლებს.“⁷

რეალურად, საბჭოთა პერიოდში მესხების ჯგუფის სახელდება არა ერთხელ შეიცვალა. 1926-1935 წლებში, საბჭოთა ეთნო-ფედერალიზმის პოლიტიკის თანახმად, მესხებიც კავკასიის სხვა თურქულენოვან ხალხებთან ერთად თურქებად მიიჩნიეს და სკოლებშიც თურქული ენა ისწავლებოდა; 1935 წელს ისინი ამჯერად აზერბაიჯანელებად გამოაცხადეს. რამდენიმე წლის შემდეგ, მათ კვლავ მოიხსენიებდნენ როგორც თურქებს, მიუხედავად იმისა, რომ 1939 წლის აღწერის და ოფიციალური საბუთების მიხედვით მესხების უდიდეს ნაწილი ოფიციალურად ეთნიკურად აზერბაიჯანელად იყო ჩათვლილი.⁸ იდენტობების ასეთი გადათამაშებების შემდეგ, მესხების, ჰემშინების და ქურთების დასახლებები თურქეთის საზღვართან ახლოს, საბჭოთა ხელისუფლების მიერ მაინც სახიფათოდ იქნა მიჩნეული. ამ ჯგუფების გადასახლების ოფიციალურ მიზეზად სწორედ საზღვრების კონტროლი დასახელდა, რა მიზნითაც 1944 წლის 31 ივლისის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის № 6279cc დადგენილების თანახმად, უკან დაბრუნების უფლების გარეშე, სამხრეთ საქართველოდან ცენტრალურ აზიაში გადასახლეს 90 ათასზე მეტი ადამიანი.⁹ გადასახლების ფაქტმა და კოლექტიურმა ტრავმამ, გარკვეულწილად თემის გამერთიანებელი ფაქტორის ფუნქციაც შეასრულა, თუმცა ამჟამად სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ რეპატრიანტებს განსხვავებული დამოკიდებულებები აქვთ მათი იდენტობის მიმართ - ზოგიერთი თურქეთში და აზერბაიჯანში მცხოვრებელი მესხი თავს თურქად მიიჩნევს; საქართველოში დაბრუნებულები და ისინი ვინც ჯერ კიდევ ჯიუტად ცდილობენ საქართველოში დაბრუნებას, მკვეთრად უარყოფენ თურქეთთან მათი დაკავშირების მცდელობას; ხოლო მაგალითად აშშ-ში ემიგრირებული მესხების მეორე თაობაში კი უკვე ძლიერია ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაციის ტალღა.¹⁰

⁷ ბარათაშვილი კლარა, მაჰმადიანი მესხების ქართული გვარები. 1997წ. ხელმისაწვდომია: <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/257738>

⁸ Trier Tom, Tarkhan-Mouravi George, Kilimnik Forrest, Meskhetians Homeward Bound. 2011. ხელმისაწვდომია: https://www.academia.edu/1775514/Meskhetians_Homeward_Bound._ECMI_2011

⁹ 1944 წლის ოფიციალური დოკუმენტები საქართველოში მცხოვრები უმცირესობების გადასახლების თაობაზე, 2020წ..ხელმისაწვდომია:https://idfi.ge/ge/official_documents_of_1944_on_the_deportation_of_minorities_living_in_south_georgia

¹⁰ Bilge Hatice Nurhayat, Meskhetian Turks Exploring Identity Through Connections of Culture. 2012. ხელმისაწვდომია: <https://www.semanticscholar.org/paper/Meskhetian-Turks-Exploring-Identity-Through-of-Bilge/6842f23055c3fd02c99cea672aa6081cd55de3c9>

2. მესხების დაბრუნების მცდელობები დაბრკოლებების პირისპირ

2.1 დაბრუნების მცდელობა გვიან საბჭოთა და ეროვნული მოძრაობის პერიოდის საქართველოში

სამშობლოში დაბრუნება მესხებმა საბჭოთა ეპოქაშივე სცადეს. 1956 წლამდე მათ აკრძალული ჰქონდათ იმ დასახლების დატოვება სადაც ჩაასახლეს, ხოლო ამ აკრძალვის მოხსნის შემდეგ შინ დაბრუნების პირველ თხოვნაზე პასუხად, მათ როგორც აზერბაიჯანელებს, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში დასახლება შესთავაზეს, რის შემდეგაც რამდენიმე მესხური ოჯახი მართლაც დასახლდა აზერბაიჯანში.¹¹ ხრუმშოვის მმართველობის პერიოდში, 1957 წელს რამდენიმე სხვა გადასახლებული ჯგუფებისთვის (მაგ: ჩეჩნები, ინგუშები, ყალმუხები) დაბრუნების ნებართვა გაიცა, თუმცა მესხების მიმართ იგივე გადაწყვეტილება არ მიუღიათ, რაც სავარაუდოდ მათი მშობლიური განსახლების ადგილის NATO-ს წევრ თურქეთის საზღვართან სიახლოვით იყო გამოწვეული, რადგან უკვე მიმდინარეობდა ცივი ომი.¹²

თუმცა მესხები დაბრუნების იმედს არ კარგავდნენ და შემდგომ წლებში კვლავ მიმართავდნენ საბჭოთა ხელისუფლებას ამ თხოვნით. უარის მიზეზები რამდენადმე განსხვავებული იყო 1980-იანი წლების ბოლოს. ამ მხრივ საინტერესოა 1989 წლის 23 ივნისს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზდიუმის თავმჯდომარის ოთარ ჩერქეზიას სიტყვა ამ საკითხზე, სადაც ის აღნიშნავს, რომ საქართველოში უკვე დასახლებულია მესხების 230 ოჯახი, თუმცა მაინც შეუძლებლად მიიჩნევს ამ ჯგუფის მასობრივ ჩამოსახლებას და მიზეზებს შორის ასახელებს იმ დროინდელ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ეთნიკური სომხების დიდი რაოდენობით დასახლებას, რაც ყარაბაღის მოვლენების ფონზე წარმოშობს ინტერეთნიკური დაპირისპირების საფრთხეს.¹³

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული მოძრაობის ლიდერები ზოგადად მხარს უჭერდნენ მესხების სამშობლოში დაბრუნების იდეას 1970-იან, 1980-იან წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების და მათ მიერ ძალაუფლების მოპოვების შემდეგ ამ მიმართულებით წინსვლა არ ყოფილა, პირიქით. 1992 წლისთვის საქართველოში საკუთარი ძალისხმევით დაბრუნებული მესხების უმრავლესობა გააძევეს ქვეყნიდან.¹⁴ პირად საუბრებში მესხები იხსენებენ, რომ ეს გადასახლების პროცესი საკმაოდ ძალადობრივი ხდებოდა: მათთან სახლში მიდიოდნენ დაუდგენელი პირები ყოველგვარი ოფიციალური უფლებამოსილების გარეშე, იძულებით სვამდნენ მანქანაში და საზღვარს მიღმა, ძირითადად

¹¹ ქამუშაძე გიგა, 1944 წელს მესხებიდან გადასახლებულთა ისტორიის რამდენიმე საკითხი. 2005წ. ხელმისაწვდომია: <https://ejournals.atu.ge/Kartvelology/issues/IX/KamushadzeGiga.pdf>

¹² Meskhetians Homeward Bound. ხელმისაწვდომია: https://www.academia.edu/1775514/Meskhetians_Homeward_Bound_ECMI_2011

¹³ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზდიუმის თავმჯდომარის გამოსვლის ტექსტი. ხელმისაწვდომია: საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანო - გაზეთი "კომუნისტი", № 151, (20501). <http://217.147.235.82/handle/1234/162396>

¹⁴ Swerdlow Steve, Understanding Post-Soviet Ethnic Discrimination and the Effective Use of U.S. Refugee Resettlement: The Case of the Meskhetian Turks of Krasnodar Krai. 2006. ხელმისაწვდომია: <https://www.jstor.org/stable/20439082>

აზერბაიჯანში ტოვებდნენ მათ. ამრიგად მესხების ნაწილი ხელმეორედ გადაასახლეს სამშობლოდან. მესხების მიერ საქართველოს ხელმეორედ დატოვების მიზეზებს შორის ულტრანაციონალისტური თავდასხმების გარდა უნდა ვიგულისხმოთ ასევე ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ვითარება და დამანაშავეთა შეიარაღებული ჯგუფების თარეშიც. აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოთა კავშირის ნგრევის პროცესში საქართველოს მსგავსად, ცენტრალურ აზიაშიც მომძლავრებული ნაციონალისტური მოძრაობების სამიზნედ თურქი მესხები იქცნენ. უზბეკეთში, ფერღანის ველზე მათი დასახლება სასტიკად დაარბიეს და რამდენიმე ათეულ ათასმა მესხმა თავი აზერბაიჯანს, უკრაინას და რუსეთს შეაფარა. საქართველოშიც და უზბეკეთშიც 90-იანი წლების დაპირისპირების და დევნის ნაციონალისტური, კრიმინალური და სოციალური მიზეზები ერთმანეთთან გადაჯაჭვულია.¹⁵

2.2 რეპატრაციის ინსტიტუციონალიზაციის ადრეული მცდელობები დამოუკიდებელ საქართველოში

გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ, უკვე 1992 წელს იმ დროინდელ სახელმწიფო საბჭოს ზედამხედველობით ჩამოყალიბდა „დეპორტირებულ მესხთა რეპატრაციის კომისია“. ¹⁶ ამ პერიოდში ხელისუფლების სათავეში ედუარდ შევარდნაძე იყო, რომლის წვლილსაც მისი საბჭოთა კარიერის პერიოდში პოზიტიურად აფასებენ მაგალითად ნასაკირალში მესხების დასახლების საკითხის გადაწყვეტისას.¹⁷ თუმცა მესხების რეპატრაციის საკითხი შევარდნაძის ხელისუფლების პირობებში და მეტწილად შემდეგაც, ძირითადად განიხილებოდა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების ჭრილში და არა ამ ადამიანების უფლებების რეალურად აღდგენის კონტექსტში.

რეპატრაციის საკითხის საერთაშორისო დონეზე გააქტიურება არის მესხური ორგანიზაციების დამსახურებაც, რომლებმაც აქტიურად დაიწყეს საქართველოში დაბრუნების მოთხოვნით მუშაობა 90-იან წლებში. ამ მხრივ გამოსარჩევია ორგანიზაცია „ვათანი“ („სამშობლო“ თურქულად), რომლის მოთხოვნებს შორის იყო მესხების დაბრუნება სამცხე-ჯავახეთის ტეროტორიაზე, იქ კულტურული ავტონომიის უფლებით და ორგანიზაცია „ხსნა“, რომლის მოთხოვნები გულისხმობდა მესხების დაბრუნებას საქართველოს ტერიტორიაზე, ნებისმიერ ადგილას.¹⁸ მესხური ორგანიზაციების მიერ საკითხის გააქტიურებას ხელი შეუწყო საქართველოს გაწევრიანებამ საერთაშორისო ორგანიზაციებში. 1996 წელს საქართველო გახდა ევროპის საბჭოს 41-ე წევრი გახდა, რამაც

¹⁵ იქვე.

¹⁶ ქამუშაძე გიგა, 1944 წელს მესხეთიდან გადასახლებულთა ისტორიის რამდენიმე საკითხი. 2005წ. ხელმისაწვდომია: <https://ejournals.atu.ge/Kartvelology/issues/IX/KamushadzeGiga.pdf>

¹⁷ Swerdlow Steve, Reflections in Transnational Minorities and Human Rights: Meskhetians and Hemshins in Georgia and Krasnodar. 2004. ხელმისაწვდომია: <https://www.semanticscholar.org/paper/Reflections-%CC%82n-Transnational-Minorities-a%CC%80nd-Human-Swerdlow/902c37f77da85976a4d3233df51541aa31951ed9>

¹⁸ Trier Tom, Tarkhan-Mouravi George, Kilimnik Forrest, Meskhetians Homeward Bound. 2011. ხელმისაწვდომია: https://www.academia.edu/1775514/Meskhetians_Homeward_Bound._ECMI_2011

გარკვეული ვალდებულებები წარმოშვა, მათ შორის 2 წლის განმავლობაში საკანონმდებლო ბაზის შექმნა მესხების რეაბილიტაციისთვის, ხოლო 3 წლის შემდეგ რეპატრიაციის დაწყება და მისი დასრულება 12 წლის განმავლობაში.¹⁹ აღებული ვალდებულებების შესასრულებლად 1996 წლის ბოლოს პრეზიდენტის ბრძანებულება გამოიცა, სადაც დეტალურად იყო გაწერილი საკანონმდებლო ბაზის შედგენის გეგმა და წლების მიხედვით განსაზღვრული იყო რეპატრიანტების საქართველოში დაბრუნების კვოტები, მათთვის მოქალაქეობის მინიშება, გვარების აღდგენა, სოციალური შეღავათები და ინტეგრაციის ხელშეწყობა.²⁰ დადგენილებაში გაწერილი ვალდებულებებიდან მხოლოდ ერთი შესრულდა - 1997 წელს მიიღეს კანონი „პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“, რომელსაც მნიშვნელოვანი ცვლილება რეპატრიაციის პროცესისთვის არ მოუტანია, რადგან არ მოიცავდა რაიმე რეალურ მექანიზმს კონკრეტულად მესხები რეპატრიაციისთვის.²¹

პარალელურად არ შემწყდარა მესხების რეპატრიაციის საკითხით საერთაშორისო დაინტერესება. 1998 წელს ლტოლვილთა საკითხებში გაეროს უმაღლესი კომისარის და ეუთოს ინიციატივით, ჰააგასა და ვენაში შედგა მესხების რეპატრიაციის საკითხზე შეხვედრები საქართველოს, რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის და ამ ქვეყნებში მცხოვრები მესხური ორგანიზაციების, მათ შორის „ვათანის“ წარმომადგენლების მონაწილეობით, თუმცა საქართველოს ხელისუფლებამ იმ პერიოდში მაინც თავი აარიდა ქმედითი ნაბიჯების გადადგმას რეპატრიაციის დასაწყებად და ევროპულ მხარისთვისაც არ აღმოჩნდა საქართველოს მიერ ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა იმდენად მნიშვნელოვანი მიზეზი, რომ ეს გარემოება საქართველოს ევროპული ინტეგრაციის შემაფერხებელი გამხდარიყო.²² მითუმეტეს, რომ იმ დროინდელი საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა და აფხაზეთიდან/ოსეთიდან დევნილი მოსახლეობის გადაუჭრელი პრობლემები კარგ საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს ხელისუფლებისთვის მესხების რეპატრიაციის პროცესის შეფერხების გასამართლებლად.

2.3 მესხების რეპატრიაციის პროცესი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ

მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ დეკლარირებული მკვეთრად პროდასავლური პოზიციის შედეგად, მხარეთა ურთიერთობის დღის წესრიგში დაბრუნდა მესხების

¹⁹ Georgia's application for membership of the Council of Europe
ხელმისაწვდომია: <http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=16669&lang=en>

²⁰ დეპორტირებული და საქართველოში რეპატრიირებული მესხების სამართლებრივ და სოციალურ პრობლემათა გადაჭრის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 9 დეკემბრის N802 ბრძანებულება. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/109186?publication=0>

²¹ საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/31408?publication=11#>

²² Galoyan Karo, The Meskhetian Turks' Issue in the Agenda of Cooperation between Georgia and International Organizations. 2018. ხელმისაწვდომია: http://arjps.org/articles/eng/01_2018/Galoyan.pdf

რეპატრიაციის საკითხიც, რომელსაც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 4 რეზოლუცია დაეთმო. რეზოლუციები მოუწოდებდნენ საქართველოს ხელისუფლებას შეესრულებინა შეუსრულებელი ვალდებულებები,²³ მიეღო სამართლებრივი, ადმინისტრაციული და პოლიტიკური გადაწყვეტილებები რეპატრიაციის პროცესის დასაწყებად,²⁴ მაქსიმალურად დაეჩქარებინა ეს პროცესი²⁵ და მიეღო საერთაშორისო დახმარება რეპატრიაციის დასაწყებად.²⁶ სააკაშვილის ხელისუფლება თავადაც აღნიშნავდა, რომ პროცესის შეფერხების მნიშვნელოვანი მიზეზი იყო ის, რომ საქართველოს არ შეეძლო ფინანსურად უზრუნველყო რეპატრიაციის პროცესი. საქართველოს ხელისუფლების მოქმედებები ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ საქართველოს სურდა დასავლეთის შექცევად დაემსახურებინა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების გამო და ამასთან ერთად მასშტაბური ფინანსური დახმარებაც მიეღო რეპატრიაციის დასაწყებად.²⁷ თუმცა მას შემდეგ რაც მესხების ბედიტ ვაჭრობამ მოსალოდნელი ფინანსური შედეგი არ მოიტანა, საქართველოს პარლამენტმა ევროპის საბჭოსთან კონსულტაციის გარეშე მიიღო კანონი რეპატრიაციის შესახებ,²⁸ რომელიც მწვავედ გააკრიტიკეს მესხური ორგანიზაციის ლიდერებმა, რადგან კანონი აწესებდა საკმაოდ რთულ წინაპირობებს, როგორც განაცხადისთვის საჭირო საბუთების მოსამზადებლად, ასევე იძლეოდა საკმაოდ მოკლე ვადას საამისოდ; ამასთანავე კანონი ტოვებდა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იმისთვის, რომ შეზღუდულიყო რეპატრიანტ პირთა სტატუსი.²⁹

კანონის აღსრულების პროცესმა ფაქტობრივად დაადასტურა, რომ ეს კრიტიკა ადეკვატური იყო. აღნიშნული კანონით მინიჭებული შესაძლებლობით სულ ისარგებლა 5841 სრულწლოვანმა პირმა, რომელთაგან რეპატრიანტის სტატუსი მიენიჭა 1998 სრულწლოვან პირს; რეპატრიანტის მოწმობის საფუძველზე საქართველოს მოქალაქეობის მიღების შესაძლებლობა გამოიყენა მხოლოდ 496 პირმა, დღეისთვის საქართველოში 30-მდე რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირი ცხოვრობს.³⁰ მესხების ასეთი მცირე რაოდენობის მონაწილეობას ამ პროცესში რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველ რიგში, საქართველოს ხელისუფლებას ბევრი არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ მიეწოდებინა მესხებისთვის

²³ Resolution 1415 (2005). Honouring of obligations and commitments by Georgia. ხელმისაწვდომია: <https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=17288&lang=en>

²⁴ Resolution 1477 (2006). Implementation of Resolution 1415 (2005) on the honouring of obligations and commitments by Georgia. ხელმისაწვდომია: <http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=17398&lang=en>

²⁵ Resolution 1428 (March 2005). The situation of the deported Meskhetian population. ხელმისაწვდომია: <http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=17312&lang=en>

²⁶ Resolution 1603 (2008) Honouring of obligations and commitments by Georgia. ხელმისაწვდომია: <http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=17629&lang=en>

²⁷ Galoyan Karo, The Meskhetian Turks' Issue in the Agenda of Cooperation between Georgia and International Organizations. 2018. ხელმისაწვდომია: http://arjps.org/articles/eng/01_2018/Galoyan.pdf

²⁸ საქართველოს კანონი „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/22558?publication=7>

²⁹ Trier Tom, Tarkhan-Mouravi George, Kilimnik Forrest, Meskhetians Homeward Bound. 2011. ხელმისაწვდომია: https://www.academia.edu/1775514/Meskhetians_Homeward_Bound._ECMI_2011

³⁰ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2021 წლის 02 ივნისის წერილი N848.

ინფორმაცია სამართლებრივი პროცედურების და საქართველოში ცხოვრების შესაძლებლობების შესახებ; კანონით დადგენილი პროცედურები, მათ შორის საბუთების წარმოდგენა ქართულ ან ინგლისურ ენაზე ასევე ართულებს რუსულ ან თურქულ ენოვანი ადამიანებისთვის ამ პროცესში მონაწილეობას; თავად ცენტრალურ აზიაშიც ბევრი ადგილობრივი ორგანიზაცია არ უჭერს მხარს მესხების საქართველოში დაბრუნებას, რაც ინფორმაციის გავრცელების პრობლემას ამძაფრებს.³¹

ცალკე მწვავე პრობლემას წარმოადგენს მოქალაქეობის საკითხი. სამართლებრივი აქტების ლაბირინთს „რეპატრიაციის შესახებ“ და „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ კანონების გავლით მივყავართ „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“³² საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებულ დანართთან (რაც წარმოადგენს კიდეც დებულებას), რომლის 31-ე მუხლი ადგენს რეპატრიანტთათვის პირობადადებული მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების საკითხს. თუმცა რეალურად ამ პროცედურაში გამარტივებული არაფერია. პირობადადებული მოქალაქეობა ამ შემთხვევაში გულისხმობს, რომ „საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების შესახებ ბრძანებულების გამოცემიდან ორი წლის ვადაში რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირმა სააგენტოს ან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას უნდა წარუდგინოს სხვა ქვეყნის მოქალაქეობიდან გასვლის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი.“³³ პრობლემას აქ ქმნის ის, რომ საქართველო არ აძლევს მესხებს შესაძლებლობას იყვნენ როგორც იმ ქვეყნის სადაც ამჟამად ცხოვრობენ, ასევე საქართველოს მოქალაქეებიც. მესხების ნაწილი ამ გადაწყვეტილებას აღიქვამს მათ მიმართ უნდობლობად და განზრახ ჩადებულ ბარიერად რეპატრიანტების რაოდენობის შესამცირებლად. მართლაც, ბევრი რეპატრიანტი მესხისთვის ორმაგი მოქალაქეობის არსებობა მნიშვნელოვან სოციალურ სარგებელთანაა დაკავშირებული. აქ იგულისხმება არა მხოლოდ ფინანსური შემოსავლები (მაგალითად ხანდაზმული მესხების პენსია, რომელიც ხშირ შემთხვევაში ბევრად მაღალია ვიდრე ქართული პენსია), ასევე გამარტივებული გადაადგილება იმ ქვეყანაში სადაც მათ ათწლეულების განმავლობაში იცხოვრეს და რომელ ქვეყანასთანაც აქვთ ნათესაური თუ საქმიანი კავშირები. მეორე მხრივ საკმაოდ ბუნდოვანია თუ რა შეიძლება იყოს საქართველოს სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესი, როდესაც ის მოითხოვს რეპატრიანტ მესხებისგან, რომ გაწყვიტონ მოქალაქეობრივი კავშირი ქვეყანასთან სადაც ამჟამად ცხოვრობენ. ეს საკითხი განსაკუთრებულად ართულებს ვითარებას იმ მესხებისთვის, რომლებიც აზერბაიჯანში ცხოვრობენ. აზერბაიჯანის სახელმწიფო პრაქტიკულად არ გასცემს დოკუმენტაციას მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ. მართალია ოფიციალურად აზერბაიჯანში მოქალაქეობიდან გასვლის უფლება აღაირებულია, თუმცა მესხების განმარტებით, პრაქტიკულად ამ პროცესის დაწყება უამრავ პრობლემას წარმოშობს.

³¹ Trier Tom, Tarkhan-Mouravi George, Kilimnik Forrest, Meskhetians Homeward Bound. 2011. ხელმისაწვდომია: https://www.academia.edu/1775514/Meskhetians_Homeward_Bound._ECMI_2011

³² ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/2369203?publication=0>

³³ „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ დებულება“. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/2369203?publication=0>

საქართველოს პირობადადებული მოქალაქეობის ირობის შუსრულებლობა (სხვა ქვეყნის მოქალაქეობის დაბრუნების პრობლემა), საქართველოში ცხოვრების შემთხვევაში რეპატრიანტ მესხებს უამრავ პრობლემას უქმნის. საქართველოს მოქალაქის სტატუსი ვერ მიღების გამო ისინი ვერ სარგებლობენ მოქალაქეობასთან დაკავშირებული უამრავი სახელმწიფო მომსახურებით, რომელთაგანაც უმნიშვნელოვანესია ჯანდაცვის და განათლების სისტემასთან ხელმიუწვდომლობა. მოქალაქეობის არ მქონე მესხები ფორმალურადაც კი მოკლებული არიან შესაძლებლობას, მაგალითად მისცენ მცირეწლოვან ბავშვებს განათლება, ან გამოიყენონ ჯანდაცვის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა. ასეთი პირველადი უფლებებით სარგებლობის შეზღუდვა ფაქტობრივად ჩანსახშივე გამორიცხავს რეპატრიანტების სოციალურ ინტეგრაციას საქართველოში. ერთადერთი სისტემური დოკუმენტი, რომელიც სახელმწიფომ რეპატრიანტთა დაბრუნების ხელშეწყობისთვის მიიღო არის რეპატრიაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგია.³⁴ სტრატეგია მოიცავს რეპატრიანტთა საჭიროებების შესწავლას, მათ ინფორმირებას, ღირსეული დაბრუნების ხელშეწყობას, სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას, კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას, განათლების ხელმისაწვდომობას და სახელმწიფო ენის სწავლებას. ის ფაქტი, რომ ამჟამად საქართველოში 30-მდე რეპატრიანტი მესხი ცხოვრობს, ამ საკმარისად მოკლე, დეკლარაციული დოკუმენტის ჩავარდნის და უმოქმედობის ყველაზე ნათელი დადასტურებაა.

დასკვნა

მესხების რეპატრიაცია გაჭიანურებული და ახლა კი ყველასგან მივიწყებული პრობლემაა. საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღებაც ამ საკითხის მიმართ შემცირებულია. საქართველომ წარმატებით მოახერხა მესხების რეპატრიაციის საკითხის საერთაშორისო დღის წესრიგიდან გაქრობა, მაგალითად, ეს თემა ვერ მოხვდა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაში.³⁵ საერთაშორისო ანგარიშებში საქართველოს ხელისუფლება მიუთითებს, რომ ჩამოაყალიბა სამართლებრივი ბაზა, შექმნა ადმინისტრაციული პროცედურები და დააკმაყოფილა რეპატრიაციის მსურველი მესხების განაცხადები სამშობლოში დაბრუნების თაობაზე, შესაბამისად შეასრულა საერთაშორისო ვალდებულებები ამ მიმართულებით.³⁶

მუსლიმი მოსახლეობის ჩამოსახლება საქართველოში, რომელსაც პრესა ხშირად „თურქ მესხებადაც“ მოიხსენიებს, პოლიტიკური დემაგოგიისთვის ხელსაყრელი თემაა, ამიტომ ხელისუფლებას გაუჭირდება თამამად იმოქმედოს, გარკვეულწილად ელექტორალურად სარისკო გადაწყვეტილება მიიღოს და მნიშვნელოვნად გაამარტივოს მესხების რეპატრიაციის

³⁴ “ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 სექტემბრის N1671 განკარგულება. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/2509406?publication=0>

³⁵ Galoyan Karo, The Meskhetian Turks' Issue in the Agenda of Cooperation between Georgia and International Organizations. 2018. ხელმისაწვდომია: http://arjps.org/articles/eng/01_2018/Galoyan.pdf

³⁶ Combined ninth and tenth periodic reports submitted by Georgia under article 9 of the Convention, due in 2020. ხელმისაწვდომია: <https://digitallibrary.un.org/record/3885839?ln=en>

პროცედურები. მით უფრო ახლა, როცა ასეთი სარისკო ნაბიჯის საპირფონედ არანაირი საერთაშორისო დივიდენდები არ არის მოსალოდნელი.

მეორე მხრივ პროცესისადმი ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა ის, რომ მრავალ მესხს, აზერბაიჯანიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან თუ შუა აზიიდან, მიუხედავად სირთულეებისა და მრავალ წლიანი იმედგაცრუებისა, კვლავ სურთ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება. სულ მცირე რითაც საქართველოს სახელმწიფომ მათ სურვილს უნდა უპასუხოს, ეს ამ ადამიანებისთვის საბაზისო საჭიროებებით სარგებლობის შესაძლებლობის მინიჭებაა. ამის პარალელურად მნიშვნელოვანია დაისვას კითხვები, რატომ დატოვეს საქართველოს მოქალაქეობის მქონე მესხებმაც კი საქართველო და რატომ არიან ასეთი მცირე რაოდენობით შემორჩენილნი? რას ავნებს და რას არგებს საქართველოს მესხების დაბრუნება სამშობლოში? ათასობით ადამიანი კი კვლავ ელოდება სამართლიან გადაწყვეტილებას.

სტატიის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი . ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

